



ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობები დანართი N26-BOG sCoolApp

1. **BOG sCoolApp** საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ინფორმაცია, შეასრულოს **გადახდები** და მართოს **ანგარიშები**.
2. იმისათვის, რომ **კლიენტმა** ისარგებლოს **BOG sCoolApp** იგი უნდა ფლობდეს **ბანკის Scool Card-ს**.
3. ამასთან, იმისათვის რომ **კლიენტმა** ისარგებლოს **BOG sCoolApp**-ით იგი უნდა ფლობდეს Android-ის ან iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონს.
4. **BOG sCoolApp** აპლიკაციის ჩამოტვირთვა/განახლება შესაძლებელია Apple-ის ოფიციალური პორტალიდან AppStore, ან Android-ის ოფიციალური პორტალიდან Google Play Store, რისთვისაც **კლიენტს** უნდა გააჩნდეს შესაბამისი პორტალის მომხმარებლის სახელი და პაროლი.
5. თუ **კლიენტი** დარეგისტრირებულია **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**, **BOG sCoolApp** გასააქტიურებლად მან **BOG sCoolApp** აპლიკაციის ჩამოტვირთვის შემდეგ, შესაბამის ფორმაში უნდა შეიყვანოს **მომხმარებლის სახელი და პაროლი**, და დამატებით დაადასტუროს **BOG sCoolApp** აქტივაცია **ერთჯერადი კოდით** რომელსაც მიიღებს **ფინანსურ ნომერზე**
6. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი BOG sCoolApp** გააქტიურებამდე/ავტორიზებამდე სარგებლობს ფიზიკური პირების **მობილ ბანკით**, ამ უკანასკნელს **BOG sCoolApp** გააქტიურების შემდგომ შეეზღუდება ფიზიკური პირების **მობილ ბანკით** სარგებლობა. აღნიშნული პირობა, არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც **კლიენტი Scool Card** გარდა სარგებლობს **ბანკის სხვა საბანკო პროდუქტებით** ან/და სხვა **ანგარიშით** გარდა **Scool Card** დაკავშირებული **ანგარიშისა**. ამ შემთხვევაში **კლიენტს BOG sCoolApp** მეშვეობით წვდომა ექნება მხოლოდ **Scool Card ანგარიშებთან** დაკავშირებულ ინფორმაციაზე.
7. **BOG sCoolApp** ძლიერი ავთენტიფიკაციით ავტორიზებული **კლიენტს** შეუძლია:
 - 7.1. შეცვალოს/აღადგინოს **მომხმარებლის სახელი** ან/და **პაროლი**;
 - 7.2. **ავტორიზაციის** მიზნებისთვის დააყენოს შემდეგი **ავთენტიფიკაციის ელემენტი**: პას კოდი ან/და თითის ანაბეჭდი ან/და სახის ამოცნობის (face ID) (მხოლოდ iOS-ის საოპერაციო სისტემაზე მომუშავე სმარტფონების შემთხვევებში თუ შესაბამისი სმარტფონი აღჭურვილია სახის ამომცნობის ფუნქციით).
 - 7.3. გააქტიუროს **sCool Card**;
 - 7.4. მიიღოს ინფორმაცია **sCool Card-ის ანგარიშის** შესახებ და ნახოს შესაბამისი **ანგარიშიდან ამონაწერი**;
 - 7.5. შეასრულოს გადარიცხვის **ოპერაცია** ლარში **მესამე პირთან**, მათ შორის, **ბანკის** სხვა კლიენტის მიერ მოთხოვნილი თანხის გადარიცხვის **ოპერაცია**, ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, **ბანკის** მიერ გადარიცხვის **ოპერაციის ძლიერი ავთენტიფიკაციით** შესრულება შესაძლოა არ იყოს მოთხოვნილი, იმ შემთხვევაში თუ გადარიცხვის **ოპერაცია** სრულდება ისეთ **მიმღების** სასარგებლოდ, რომელსაც **კლიენტის** მიერ მინიჭებული აქვს სანდო ბენეფიციარის სტატუსი;
 - 7.6. შეასრულოს **გადახდის ოპერაცია sCool Card-ის** მეშვეობით;
 - 7.7. **მიმღებს** მიაწიქოს **სანდო ბენეფიციარის** სტატუსი;
 - 7.8. გამოაჩინოს **ბარათის**, მათ შორის **ციფრული ბარათის** საიდენტიფიკაციო **მონაცემები**;
 - 7.9. ჩართოს/გააქტიურო **PUSH** ნოტიფიკაცია;
 - 7.10. დაამატოს **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ბარათ(ებ)ი** Apple Pay/Google Pay საგადახდო აპლიკაციაში(ებ)ში;



- 7.11. მის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებულ მობილური მოწყობილობა, რომლითაც **კლიენტი ავტორიზებულია BOG sCoolApp** გახადოს ავთენტიფიკაციის ელემენტი, რისთვისაც **კლიენტმა** მობილურ მოწყობილობას უნდა მიანიჭოს სანდო მოწყობილობის სტატუსი;
- 7.12. გაუუქმოს სანდო მოწყობილობის სტატუსი მის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებულ მობილურ მოწყობილობას;
- 7.13. გააზიაროს **ანგარიშის** ნომერი;
- 7.14. აღადგინოს **ბარათის PIN კოდი**;
- 7.15. დათვალიეროს **sCool Card-ის Lifestyle** შეთავაზებები;
- 7.16. ჩამოტვირთოს/გაზიაროს გადახდის ქვითარი ან/და **საგადახდო დავალება**;
- 7.17. შეცვლოს/გაასაჯაროს/საჯაროობა მოხსნას **BOG sCoolApp** განთავსებული პროფილის ფოტოს;
- 7.18. გამორთოს **BOG sCoolApp** შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია; ამ პუნქტის მიზნებისთვის, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად გამორთოს **კლიენტის** მიერ გააქტიურებული შეტყობინებების (PUSH ნოტიფიკაციები) ფუნქცია, იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ ისარგებლებს **BOG sCoolApp** აპლიკაციით;
- 7.19. გამორთოს **SMS ბანკი**;
- 7.20. **მესამე პირისაგან** მოითხოვოს თანხის ჩარიცხვა ან/და მოითხოვოს თანხის ჩარიცხვა თანხის გაყოფის ფუნქციონალით ან/და გააუქმოს აღნიშნული მოთხოვნა ან/და ჩათვალოს აღნიშნული მოთხოვნა მიღებულად;
- 7.21. დააყენოს პროფილის ფოტო;
- 7.22. გაააქტიუროს/შეაჩეროს/გამორთოს **ელექტრონული ყულაბა**;
- 7.23. გამოიყენოს „სხვა სამყაროს“ ფუნქციონალი;
- 7.24. გამოიყენოს ChatGPT ფუნქციონალი;
- 8. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტთან** შეტყობინებების გაგზავნის გარეშე, ნებისმიერ დროს შეზღუდოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს **ავტორიზაციის** ან/და **ოპერაციის** შესრულების მეთოდი, მათ შორის **წინამდებარე დანართის მე-7 პუნქტით** განსაზღვრული **ოპერაციების** დადასტურების წესი. ამასთან, **ბანკი** საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს იმ **ოპერაციების** ჩამონათვალს, რომლებიც საჭიროებს **ძლიერ ავთენტიფიკაციით** დადასტურებას. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტს** სურს **ავთენტიფიკაციის ელემენტად** გამოიყენოს პას კოდი, **კლიენტის** სარგებლობაში არსებულ მობილურ მოწყობილობას, რომლითაც **კლიენტი ავტორიზდება BOG sCoolApp** უნდა მიანიჭოს სანდო მოწყობილობის სტატუსი, და გაიაროს **ძლიერი ავთენტიფიკაციით ავტორიზაცია**, აირჩიოს პას კოდი, როგორც **ავთენტიფიკაციის ელემენტი**, შეარჩიოს სასურველი ციფრების კომბინაცია და დაადასტუროს ის **ძლიერი ავთენტიფიკაციით**. ამ პუნქტის მიზნებისთვის, პას კოდის, როგორც **ავთენტიფიკაციის ელემენტის** გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ **კლიენტის** სარგებლობაში არსებულ ერთ კონკრეტულ სმარტფონზე.
- 9. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტს** სურს **ავთენტიფიკაციის ელემენტად** გამოიყენოს **უნიკალურობის კატეგორიის ელემენტი** თითის ანაბეჭდი ან სახის ამომცნობი (face ID), **კლიენტმა** უნდა აირჩიოს თითის ანაბეჭდით ან სახის ამომცნობი (face ID) როგორც **ავთენტიფიკაციის ელემენტი** და დაადასტუროს **ძლიერი ავთენტიფიკაციით**.
- 10. **BOG sCoolApp** ავტორიზაციისას **მომხმარებლის სახელის** ან/და **პაროლის** ან/და პასკოდის სამჯერ არასწორად მითითების შემთხვევაში **BOG sCoolApp** დაიბლოკება 30 წუთით.



11. ავტორიზაციის შემდეგ **BOG sCoolApp** უმოქმედოდ სესიის ხანგრძლივობა შეადგენს არაუმეტეს 5 წუთს. 5 წუთის ამოწურვის შემდგომ **BOG sCoolApp** სესია ავტომატურად დაიხურება და **BOG sCoolApp** თავიდან სარგებლობისთვის **კლიენტმა** უნდა გაიაროს დამატებით **ავტორიზაცია**.
12. თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს, **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის/აქცეპტის გარეშე, ცალმხრივად შეუზღუდოს/გააუქმოს **კლიენტს** მესამე პირისგან თანხის ჩარიცხვის მოთხოვნის მომსახურება, როგორც კონკრეტულ მესამე პირთან მიმართებაში, ასევე სრულად მომსახურება, იმ შემთხვევაში თუ: ა) მოთხოვნის მიმღები მესამე პირის სურვილის შემთხვევაში ან/და; ბ) **ბანკის** მიერ განსაზღვრული დროის მონაკვეთის განმავლობაში **კლიენტის** მიერ გაგზავნილი მოთხოვნების რაოდენობა, რომელის საფუძველზე **მესამე პირებმა** არ განახორციელეს თანხის ჩარიცხვა აღემატება **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ლიმიტს ან/და; გ) **კლიენტი** მესამე პირისგან თანხის ჩარიცხვის მოთხოვნის მომსახურებით სარგებლობს არამიზნობრივად/არაკეთილსინდისიერად.
13. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ინფორმირებულია მის მიერ **მესამე პირისგან** თანხის ჩარიცხვის ან თანხის გაყოფის ფუნქციონალით სარგებლობის შემთხვევაში, **მესამე პირს** მიეწოდება შემდეგი მონაცემები: **კლიენტის** სახელი და გვარი, მოთხოვნილი თანხის ოდენობა, **კლიენტის** ანგარიში, რომელზეც უნდა მოხდეს მოთხოვნილი თანხის ჩარიცხვა და მოთხოვნის დანიშნულება (**კლიენტის** მიერ მითითების შემთხვევაში). **კლიენტი** თანახმაა, ასეთი ინფორმაცია **ბანკის** არაკლიენტ მესამე პირს მიეწოდოს **კლიენტის** მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, ხოლო თუ **მესამე პირი** არის **ბანკის** კლიენტი, ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები **მესამე პირს** მიეწოდება **ბანკში** დაფიქსირებულ **ფინანსურ ნომერზე** ან **PUSH** ნოტიფიკაციის საშუალებით. ამასთან, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი, **კლიენტის** მიერ **მესამე პირის/მისი** საკონტაქტო ინფორმაციის არასწორად მითითების გამო ან/და ნებისმიერი ისეთი შემთხვევის გამო, როდესაც **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზით, გაგზავნილი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი სხვა **მესამე პირისთვის**.
14. თუ **კლიენტი** არასრულწლოვანია და იგი **ბანკში** წარმოდგენილია კანონიერი წარმომადგენლის მიერ, **კლიენტი/პირი**, როგორც არასრულწლოვანი **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენელი:
 - 14.1. წინასწარ აცხადებს თანხმობას **კლიენტის** მიერ **BOG sCoolApp** გააქტიურებასა და სარგებლობაზე.
 - 14.2. წინასწარ აცხადებს თანხმობას არასრულწლოვანი **კლიენტის** მიერ **BOG sCoolApp** საშუალებით და წინამდებარე **დანართი #26** განსაზღვრულ განხორციელებულ/განსახორციელებელ ნებისმიერ **ოპერაციაზე**;
 - 14.3. ადასტურებს, რომ არასრულწლოვანი **კლიენტის** მიერ **BOG sCoolApp** საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი **ოპერაცია** სრულდება მისი, როგორც არასრულწლოვანი **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით და სრულად არის პასუხისმგებელი თითოეულ/ყველა **ოპერაციაზე**;
 - 14.4. წინასწარ აცხადებს თანხმობას **საკომისიოს, პირგასამტეხლოს** და სხვა გადასახდელების გადახდის თაობაზე, რომელიც შეიძლება დაეკისროს არასრულწლოვან **კლიენტს**, მის მიერ ნებისმიერი **საბანკო პროდუქტის/საბანკო მომსახურების** სარგებლობასთან/გამოყენებასთან დაკავშირებით;
 - 14.5. ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია, რომ **ბანკი**, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, შეტყობინების გაგზავნის გარეშე, შეზღუდოს ან/და შეცვალოს **BOG sCoolApp** საშუალებით არასრულწლოვანი **კლიენტისთვის** ნებადართული **ოპერაციების** ჩამონათვალი ან/და დააწესოს **ოპერაციების ლიმიტები**, რომელიც შესაძლოა იყოს **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენლის მიერ დადგენილი ლიმიტებზე მცირე;



- 14.6. წინასწარ აცხადებს თანხმობას, არასრულწლოვანი კლიენტის მიერ ელექტრონული ყულაბის გააქტიურების შემთხვევაში, ფიზიკური პირების მომსახურების საერთო პირობების დანართი 16 ელექტრონული ყულაბის პირობებზე;
- 14.7. წინასწარ აცხადებს თანხმობას, კლიენტისათვის შეკვეთილი sCool Card, კურიერსერვისის მომსახურებით ჩაბარების შემთხვევაში, შეკვეთილი sCool Card ჩაბარდეს კანონიერი წარმომადგენლის მიერ sCool Card შეკვეთის განაცხადში მითითებულ მესამე პირს.
- 14.8. უფლებამოსილია ნებისმიერ დროს თავისი შეხედულებისამებრ, ბანკის მიერ დადგენილი საკომუნიკაციო საშუალებით, მოითხოვოს კლიენტისთვის, „სხვა სამყაროს“ ფუნქციონალის გათიშვა.
- 14.9. კლიენტის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია ნებისმიერი დროს, თავისი შეხედულებისამებრ ბანკს მოსთხოვოს ბანკის მიერ დადგენილი საკომუნიკაციო საშუალებებით BOG sCoolApp დაშვებული ChatGPT-ის ფუნქციონალის გათიშვა/დეაქტივაცია.
15. კანონიერი წარმომადგენელი წინასწარ აცხადებს თანხმობას, რომ კლიენტის მიერ BOG sCoolApp-ის საშუალებით განხორციელებული გადახდის ოპერაციებზე ვრცელდება ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრული ლიმიტები, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი ეთანხმება ან/და ეცნობება BOG sCoolApp-ის გააქტიურებაზე თანხმობის გაცემისას.
16. კანონიერი წარმომადგენელი წინასწარ აცხადებს თანხმობას, კლიენტმა მიიღოს მონაწილეობა ბანკის მიერ ორგანიზებულ ნებისმიერ აქცია(ებ)ში/კამპანია(ებ)ში, მათ შორის BOG sCoolApp ან/და sCool Card დაკავშირებულ აქცია(ებ)ში/კამპანიაში და კლიენტმა მიიღოს ბანკის მიერ გადაცემული საჩუქარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
17. კლიენტისთვის ცნობილია, რომ sCool Card გაუქმების შედეგად ვეღარ შეძლებს BOG sCoolApp სარგებლობას.